საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

შედეგები

პროგრამის კატალოგი

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება: № 27, 26.12.2017 წ.

European Commission
TEMPUS

BATUMI STATE MARITIME ACADEMY
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

სწავლების საფეხური	*პროფესიული*
პროგრამის დასახელება	*შედუღება*
კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი	***ნაციონალური :*** *მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში ;* ***საერთაშორისო :*** *Pearson SRF Level 2 (Georgian Level 3) Diploma for Welding*
პროგრამის ხელმძღვანელები	*ავთანდილ ცეცხლაძე* *ელ.ფოსტა: avtondt@gmail.com*
პროგრამის განხორციელების ადგილი	*ბათუმი, რუსთაველის ქ.№53* *ელ.ფოსტა: info@bsma.edu.ge*
სწავლების ფორმა	*სტაციონარული*
პროგრამის მოცულობა	*38 ECTS*
პროგრამაზე ჩარიცხვის წინა პირობა	*საბაზო განათლება, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა, ფორმა №IV -100/ა“, პროფესიული ტესტირების შედეგები*
სწავლების ენა	*ქართული*
სწავლების ფორმატი	*ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობა , როლური თამაში სიმულაციის პროცესში, საწარმოო პრაქტიკა*

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ფართო პროფილის კვალიფიციური შემდუღებლის მომზადება

პროგრამის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს . მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე შეუძლია;

- *აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით ლითონის ნაწილების შედუღება;*
- *შემდუღებელი მოწყობილობების გამოყენება;*
- *სარჩილავის გამოყენება ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად;*
- *ლითონის ნაწილების მყარი კომპონენტით შეერთება;*
- *აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით ლითონის ჭრა;*
- *ხელის სარჩილავით ლითონის ნაწილების რბილი კომპონენტით შეერთება;*
- *მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გა ფართოების აცილების მიზნით თერმული მომზადების, მორგების, შედუღების პროცესის რეჟიმის შერჩევა;*
- *ვიზუალური დათვალიერებითა და ხელსაწყოების გამოყენებით დეფექტებისა და წუნების დადგენა, შესრულებული სამუშაოების სიზუსტის შემოწმება სპეციფიკაციით და დგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე;*

პროგრამის სტრუქტურა

*პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა აითვისოს **38** კრედიტი, აქედან*

- *6 ECTS ზოგადი კომპეტენციების განმავითარებელი მოდულები;*
- *32 ECTS საერთო პროფესიული/ დარგობრივი მოდულები;*
- *პროგრამის ხანგძლიობაა **6** თვე.*

დასაქმების სფერო

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისა შედეგად კურსდამთავრებულს, რომელსაც მინიჭებულია აქვს მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში, შეუძლია დასაქმდეს შემდუღებლად გემზე მანქანათმშენებლობის, ბინათმშენებლობის, თვითმფრინავ მშენებლობის, გემთმშენებლობის სარემონტო საწარმოებში და მრეწველობის სხვა დარგებში.

ადამიანური რესურსი	*საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს საზღვაო აკადემიის აკადემიური პერსონალი და დარგის სპეციალისტები*
მატერიალური რესურსი	*საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების ეფექტურობის მისაღწევად საზღვაო აკადემია გამოიყენებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებს, პროექტორებს და სადემონსტრაციო მონიტორებს. საზღვაო აკადემიაში ფუნქციონირებს სასწავლო ლაბორატორიები, სასწავლო-საწვრთნელი დანადგარებით და სიმულატორებითაა აღჭურვილი.*
შეფასების სისტემა	*ცოდნის შემოწმების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია მოდულებში.*

თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!